ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2019 წლის 21 ნოემბრის სხდომის

ოქმი № 7

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 21.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში

   მომხს: თ. დოლბაია
2. "გენდერის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული "კვლევის მეთოდოლოგიის" სავალდებულო კურსის სილაბუსის დამტკიცება

   მომხს: რ. ჯორბენაძე
4. "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცება

   მომხს: თ. დოლბაია
5. "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის დაცვის კომისიისა და რეცენზენტთა დამტკიცების შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია
6. დოქტორანტ მარიამ ჭანკოტაძის მიერ სადოქტორო პროგრამის შეცვლისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია
7. "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ანა წითლიძის საკითხის განხილვა

   მომხს: თ. დოლბაია
8. "სოციოლოგიის " სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ოსიკო კონცელიძის დისერტაციის სათაურის შეცვლის შესახებ

   მომხს: თ. დოლბაია

9. დოქტორანტთა დამატებითი სემესტრების რაოდენობის დაზუსტება
მომხს: თ. დოლბაია

10. პროფესორ იოსებ სალუქვაძის განცხადების განხილვა
მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ. მან თქვა, რომ მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს არ ჰქონდა სტუდენტთა მომსახურების ერთიანი სივრცე, რაც დისკომფორტს უქმნიდა სტუდენტებს, რომლებსაც მომსახურების მიღება უწევდათ სხვადასხვა კორპუსებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. ასევე, არსებობდა ერთ და ორ შტატიანი განყოფილებები, ერთი და იგივე ფუნქციის მქონე რამდენიმე ლაბორატორია და კიდევ სხვა მიზეზთა გამო უპრიანი იქნებოდა ფაკულტეტის სტრუქტურის დახვეწა.

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში და განხორციელდეს ფაკულტეტის სტრუქტურული ოპტიმიზაცია. კერძოდ:
   1) გაუქმდეს კანცელარია და რესურსების სამსახური;
   2) შეიქმნას ადმინისტრაციული სამსახური, რომელშიც გაერთიანდება კანცელარიის, რესურსების სამსახურის, ფინანსური მენეჯერის, დეკანის თანაშემწისა და IT ტექნოლოგიების სპეციალისტთა შტატები;
   3) ტელე-კინო სტუდიისა და ვიზუალური დოკუმენტალისტიკის ლაბორატორიები შევიდეს მულტიმედია ცენტრის შემადგენლობაში;
   4) ამ სტრუქტურულ ცვლილებებს არ ახლავს შტატების შემცირება;

2. ფაკულტეტის დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

მოისმინეს: 2. "გენდერის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ.

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: ვინაიდან "გენდერის" სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არ განხორციელებულა აკრედიტაციის მთელ პერიოდში, საბჭო არ თვლის მიზანშეწონილად, პროგრამის რეაკრედიტაციაზე წარდგენას.

მოისმინეს: 3. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული "კვლევის მეთოდოლოგიის" სავალდებულო კურსის სილაბუსი დასამტკიცებლად წარმოადგინა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით, ყველა სადოქტორო პროგრამისთვის სავალდებულო კურსის "კვლევის მეთოდოლოგიის" სილაბუსი;
2. საგანს ეწოდოს "კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში";
3. საგანი სავალდებულო არაა იმ დოქტორანტებისთვის, რომელთაც ორივე სამეცნიერო პროექტი/კოლოკვიუმი აქვთ ჩაბარებული.

მოისმინეს: 4. "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის შეცვლის აუცილებლობის თაობაზე ისაუბრა თ. დოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა რომ ახლანდელმა ხელმძღვანელმა შექმნა ახალი სამაგისტრო პროგრამა, სამართლებრივად კი, სწავლების ერთ საფეხურზე ერთზე მეტი პროგრამის ხელმძღვანელობა დაუშვებელია

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ და სხვ.

დაადგინეს: "ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების" სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელად დამტკიცდეს პროფესორი გია ჟორჟოლიანი

მოისმინეს: 5. "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის დაცვის კომისიისა და რეცენზენტთა დამტკიცების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, მ. მაცაბერიძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტ მიხეილ შავთვალაძის (სამეცნიერო ხელმძღვანელი-სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი, სადისერტაციო ნაშრომი:"კონსოციონალური დემოკრატიული მოდელი პოსტსაბჭოთა მრავალეთნი კურ სახელმწიფოში: საქართველოს მაგალითი") სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღი, რეცენზენტები და დაცვის კომისია:

დაცვის თარიღი: 6 მარტი, 2020 წელი, 17.00 საათი;

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები:

1. **ზვიად აბაშიძე** - პოლიტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. **პუბლიკაცია:**

Dundua S., Abashidze Z., Qaraia T., 2017. "National Narration and Politics of Memory in post-socialist Georgia." Slovak Journal of Political Sciences, Volume 17 (2), pp.222-240

2. **ირაკლი ჩხაიძე** - კულტურის კვლევების დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი. **პუბლიკაცია:**

   ჩხაიძე, ი., (2015), ეთნიკურიდან სამოქალაქო დისკურსისკენ: ნაციონალიზმის დინამიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში (ფრანგულ ენაზე) Publications de l'Institut des Etudes Africaines, Serie: Recherches et Etudes (n. 18). Publication de l'Institute des Etudes Africaines

3. **Darrell Slider** - ემერიტუსი პროფესორი; პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სამხრეთ კაროლინის ინტერდისციპლიური გლობალური კვლევების ცენტრი. პუბლიკაცია: Slider, D. The Politics of Transition: Shaping a Post-Soviet Future, (Cambridge University Press: Cambridge, 1993); jointly authored with Stephen White, University of Glasgow, and Graeme Gill, University of Sydney. [Author of chapters on the breakup of the USSR, trends and patterns in republic and local politics, changes in public opinion, and the politics of economic interests; pp. 79-116, 164-192.]

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

1. **მალხაზ მაცაბერიძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი. **პუბლიკაცია:**
   მაცაბერიძე, მალხაზ. The Constitutional Metamorphosis of the Presidential Institution in the post-Soviet Georgia. In Two Decades of Development in Post-Soviet States: Successes and Failures, Ed. by S. Musteață. Colecția Academica, 232, Iași, Institutul European, 2014, pp.57-63.
2. **ზურაბ აბაშიძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი. **პუბლიკაცია:**
   აბაშიძე, ზურაბ. (2009), ცივი ომი - წარსული თუ თანამედროვეობა? თბილისი.
3. **კორნელი კაკაჩია** - პოლიტიკის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი. **პუბლიკაცია:** Kakachia, K., Minesashvili, S., Identity politics: Exploring Georgian foreign policy behavior, Journal of Eurasian Studies, 2015, 1 July
4. **ალექსანდრე კუხიანიძე** - ფილოსოფიის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი. **პუბლიკაცია:**

Kukhianidze, A. (2018), Crisis in Ukraine from the Georgian Perspective. In the book East Crisis: the Economy, Politics and Society. Szabaciuk, A. (Ed.). Lublin: John Paul II Catholic University, pp. 43-64

5. **ავთანდილ ტუკვაძე** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. **პუბლიკაცია:**
Туквадзе А.А, Убилава И.Д. 2017. Лидер в грузинской политике. Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Политология Volume 19,№1)

6. **ჰენრი კუპრაშვილი** - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. **პუბლიკაცია:**
კუპრაშვილი, ჰ. (2011). რ თბილისი, საგამომც. სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი"

7. **გია ნოდია** - ფილოსოფიის დოქტორი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი. **პუბლიკაცია:**
Nodia, G. Freedom and the State, *Journal of Democracy*, 2010/1, pp. 136-143.

მოისმინეს: 6. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული, დოქტორანტ მარიამ ჭანკოტაძის განცხადება, რომლითაც ის ითხოვს სადოქტორო პროგრამის შეცვლას, დამსწრეთ გააცნო თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, რ. ჯორბენაძემ, ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: გადაყვანილ იქნას მარიამ ჭანკოტაძე, "კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამიდან, "სოციალური მუშაობის" სადოქტორო პროგრამაზე და ხელმძღვანელად დაენიშნოს ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ აცნობა, რომ 2019 წლის 12 ივნისს, "პოლიტიკის მეცნიერების" სადოქტორო პროგრამის IX სემესტრის დოქტორანტმა ანა წითლიძემ, ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, შემდგომი მსვლელობისთვის წარმოადგინა სადისერტაციო ნაშრომი: "პოლიტიკური დეცენტრალიზაცია როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომპონენტი და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება". ნაშრომის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ალექსანდრე კუხიანიძემ, დისერტაცია შეაფასა დადებითად.

სადისერტაციო ნაშრომმა გაიარა შემოწმება პლაგიატზე და გაიგზავნა რეცენზირებაზე.

ნაშრომის რეცენზენტები იყვნენ:

1. **ალექსანდრე სვანიშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

2. **დავით ლოსაბერიძე** - ისტორიის დოქტორი, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

3. **ივეტა რეინჰოლდი (Iveta Reinholde)** - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ლატვიის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ხელმძღვანელი.

რეცენზირებისთვის გათვალისწინებულ ვადაში გამოგზავნილი რეცენზიებიდან ორი, არის უარყოფითი.

<u>დადებითად</u> შეაფასა **დავით ლოსაბერიძემ** - „დასკვნის სახით უნდა ავღნიშნო, რომ ქალბატონ ანა წითლიძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი არის მეტად მნიშვნელოვანი საქართველოში თვითმმართველობის მომავალი სისტემის ფორმირების პროცესთან დაკავშირებით დისკუსიის გენერირების პროცესისათვის, წარმოადგენს ქვეყანაში მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესის სიღრმისეულ ანალიზს და შესაბამისად იმსახურებს დაშვებულ იქნას დაცვაზე, რათა დოქტორანტს მიენიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი."

<u>უარყოფითად</u>:

ალექსანდრე სვანიშვილმა - „დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი ვერ პასუხობს დასახულ მიზანს. მიუხედავად ჩამონათვალისა, არ ჩანს კვლევის არც სისტემური, არც შედარებითი და არც ნორმატიული მეთოდების გამოყენება. დოქტორანტი შემოიფარგლება მხოლოდ ჩატარებული ინტერვიუებით მათი კრიტიკული ანალიზის გარეშე. მიღებული დასკვნებიც არ გვთავაზობს რაიმე სიახლეს რომელიც აქამდე არ იყო ცნობილი. ამიტომ მიმაჩნია, რომ ნაშრომს, მისი საფუძვლიანი გადამუშავების გარეშე არ გააჩნია მეცნიერული ღირებულება."

ივეტა რეინჰოლდმა - The main shortcomings and weaknesses are so serious, that I suggest to improve the PhD thesis before the final defence as at the current stage I could not recommend Ms Ana Tsitlidze for awarding PhD degree.

ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, ფაკულტეტის საბჭომ უნდა დაადგინოს, მიეცემა თუ არა დოქტორანტს დისერტაციის გადამუშავების უფლება და რა ვადით განისაზღვროს დისერტაციის წარდგენის თარიღი

აზრი გამოთქვეს : ა. კუხიანიძემ, ნ. ჭალაგანიძემ, რ. ჯორბენაძემ, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, ნ. პავლიაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: თსუ-ის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტისა და ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების გათვალისწინებით, მიეცეს საშუალება დოქტორანტ ანი წითლიძეს გადაამუშაოს სადისერტაციო ნაშრომი და წარმოადგინოს 2020 წლის 21 –დან 30 ნოემბრამდე.

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის დეკანის სახელზე შემოსული განცხადება, რომლითაც "სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ოსიკო კონცელიძე ითხოვდა დისერტაციის სათაურის შეცვლას, საბჭოს წევრებს გააცნო თ. დოლბაიამ. ოსიკო კონცელიძე მე-3 სემესტრის დოქტორანტია და მისი სადისერტაციო ნაშრომის სათაურია: "ახალგაზრდა თაობის ეკონომიკური ელიტის შექმნის თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოს რეგიონებში (აჭარის რეგიონის მაგალითზე)". სამეცნიერო ხელმძღვანელი იაგო კაჭკაჭიშვილი, რეკომენდაციას უწევს დოქტორანტს, რომ მისი სადისერტაციო თემა გახდეს, „საზღვაო შრომის ბაზრის კვლევა საქართველოში"

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს "სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, ოსიკო კონცელიძის თხოვნა სადისერტაციო ნაშრომის სათაურის შეცვლის თაობაზე და თემის სათაურად დაფიქსირდეს "„საზღვაო შრომის ბაზრის კვლევა საქართველოში".

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დოქტორანტთა ნაწილმა მიმართა თხოვნით, რათა დამატებითი სემესტრების 4 სემესტრით შეზღუდვა არ გავრცელებულიყო მათზე, ვინც ამ გადაწყვეტილების მიღების მომენტში უკვე დამატებით სემესტრში იყო

აზრი გამოთქვეს: ი. კაჭკაჭიშვილმა, გ. გოგსაძემ, ნ. პავლიაშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ და სხვ.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს დოქტორანტთა თხოვნა და დამატებითი სემესტრების 4 სემესტრით შეზღუდვა არ შეეხოს აკადემიური საბჭოს დადგენილების გამოტანისთვის (№80/2019) დამატებით სემესტრში მყოფ დოქტორანტებს

მოისმინეს: 10. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო პროფესორ იოსებ სალუქვაძის წერილი, რომლითაც იგი ითხოვს შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის ბიუჯეტის იმ მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია 1.5 იმპაქტ – ფაქტორის და მეტის მქონე ჟურნალში პროფესორის პუბლიკაციის დაფინანსება და შემცირდეს ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორის მაჩვენებელი

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ვ. მელიქიძემ, მ. მაცაბერიძემ, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მუხლში, რომელშიც განსაზღვრულია 1.5 იმპაქტ – ფაქტორის და მეტის მქონე ჟურნალში პროფესორის პუბლიკაციის დაფინანსება და შეიცვალოს 1.2. მაჩვენებლით

მოისმინეს: 11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ ისაუბრა სააკრედიტაციო კომიტეტების განახლების აუცილებლობის შესახებ და თხოვნით მიმართა მიმართულებებისა და პროგრამების ხელმძღვანელებს კანდიდატურათა დროულად წარდგენის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნ. ჭალაგანიძემ, გ. გოგსაძემ, ხ. მაისასვილმა, მ. მაცაბერიძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: სააკრედიტაციო კომიტეტების განახლება დასრულდეს ერთი თვის ვადაში

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : ... ...ოლბაია, ...ოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი : მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

21 ნოემბერი, 2019

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას
კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო
პროგრამის სტუდენტის, მარიამ ჭანკოტაძის
(ტელ: 599085855, ელ-ფოსტა:mariamchankotadze@yahoo.com)
ს/ნ 01024062419

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თამარ

გაცნობებთ, რომ 2017-2018 სასწავლო წლიდან ვირიცხები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამაზე. ჩემს სადისერტაციო თემას წარმოადგენდა „ქალთა ჩართულობის მნიშვნელობა კონფლიქტების გადაჭრის საკითხში", სამეცნიერო ხელმძღვანელობას კი მიწევდა პროფესორი გუგული მაღრაძე. 2018-2019 სასწავლო წლიდან შევიჩერე სტუდენტის სტატუსი.

ამ დროისათვის გადავწყვიტე სადისერტაციო თემის შეცვლა, რომელიც მოიცავს დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ცხოვრების ხარისხის კვლევასა და სოციალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრას აღნიშნულ კონტექსტში. ასევე გაცნობებთ, რომ აღნიშნული თემის არჩევა განაპირობა ჩემმა მიმდინარე სამუშაო გამოცდილება, კერძოდ ვმუშაობ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების მხარდაჭერის

სამმართველოში. ვინაიდან საკვლევი თემა თავისი შინაარსით შეესაბამება სოციალური მუშაობის დისციპლინას, ასევე სურვილი მაქვს შევიცვალო მიმართულება და სწავლა გავაგრძელო სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული გარემოებები და მომცეთ უფლება, სწავლა გავაგრძელო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის მიმართულებით.

განმცხადებელი:

თარიღი: 16.09.2019წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

თანახმა ვარ, მარიამ ჭანკოტაძემ (პ/ნ01024062419) კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ნაცვლად სწავლა გააგრძელოს სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე.

პატივისცემით,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
თარიღი: 16.09.2019

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

თანახმა ვარ, მარიამ ჭანკოტაძეს (პ/ნ01024062419) გავუწიო სამეცნიერო ხელმძღვანელობა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, თუ ის სწავლას სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე გააგრძელებს.

პატივისცემით,

თამარ მახარაძე
ასოცირებული პროფესორი
თარიღი 16.09.2019

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

თანახმა ვარ, მარიამ ჭანკოტაძემ (პ/ნ01024062419) კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ნაცვლად სწავლა გააგრძელოს სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამაზე. ასევე თანახმა ვარ, აღარ გავუწიო სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

პატივისცემით,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი,
პროფესორი გუგული მაღრაძე